საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/983
26.08.2025

ბრძანება

983-01-4-202508261743

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანების შესაბამისად, შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) მოქალაქე განცხადების საფუძველზე შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის დაწყების შესახებ სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების თანახმად, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2. „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დადასტურდა შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-4 პუნქტების, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) დაევალა თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ასევე მომხმარებელთა დარღვეული უფლების აღდგენა.

1.3. სააგენტოს 2025 წლის 19 ივნისის N 02/2608 წერილით მოვაჭრეს გაეგზავნა ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე. მოვაჭრემ წერილი ჩაიბარა 2025 წლის 23 ივნისს.

1.4. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2025 წლის 30 ივლისის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

1.5. ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

1.6. წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს ლარს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. პროცედურის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მოვაჭრეს. თუ მოვაჭრისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-16 მუხლით დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

2.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.3. კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

2.4. კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.5. კანონის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2.6. სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები. კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2.7. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის (შემდგომში - წესი) მე-3 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სააგენტოს მიერ გამოყენებული ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული. ჯარიმის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პირის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის კომერციულ საქმიანობას. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.8. წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, მოვაჭრისთვის ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები.

2.9. წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვიდან, ხოლო, თუ პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების

მიღების წელი და ჯარიმის გამოთვლა განხორციელდება პირის რეგისტრაციიდან სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში მიღებული ბრუნვიდან.

2.10. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2025 წლის 30 ივლისის ჩათვლით), თუმცა, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არ მოუთხოვია ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოუწოდებლობის საპატიო მიზეზ(ებ)ის არსებობის თაობაზე.

3.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3.3. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3.4. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **მასშტაბის** განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებს - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას, რომელიც შემდგომში სააგენტოს მიერ უსამართლო კომერციულ საქმიანობად იქნა მიჩნეული ახორციელებდა სარეწში. აღსანიშნავია,

რომ მოვაჭრე ოპერირებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, მოვაჭრის Facebook გვერდზე დაყრდნობით ეს ქალაქებია[1]: თბილისი (22 (ოცდაორი) ფილიალი), ქუთაისი (2 (ორი) ფილიალი), ზუგდიდი (1 (ერთი) ფილიალი), რუსთავი (2 (ორი) ფილიალი), თელავი (1 (ერთი) ფილიალი), სამტრედია (1 (ერთი) ფილიალი), ფოთი (1 (ერთი) ფილიალი), სენაკი (1 (ერთი) ფილიალი) და ბათუმი (4 (ოთხი) ფილიალი). გაერთიანებულ საქმეებზე C-585/08 და C-144/09, ევროკავშირის მართმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით მოვაჭრის კომერციული საქმიანობის გეოგრაფიული არეალის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია დადგინდეს მოვაჭრის განზრახვა, სად გამოხატვას ნებას განახორციელოს კომერციულ საქმიანობას, რა არეალს მოიცავს მისი სამიზნე ტერიტორია.[2] გადაწყვეტილების თანახმად, მოვაჭრის მიზნის განსაზღვრისას სხვადასხვა ფაქტორებს შეიძლება მიექცეს ყურადღება, თუმცა საგულისხმოა, რომ უშუალოდ მოვაჭრის მისამართები არ წარმოადგენს კომერციული საქმიანობის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას. გეოგრაფიული არეალის განსასაზღვრად გასათვალისწინებელია, მაგალითად კომერციული საქმიანობისთვის გამოსაყენებელი ენა.[3] ამ შემთხვევაშიც, მართალია მოვაჭრე მის Facebook გვერდზე ჩამოთვლის ფილიალებს, თუმცა მის გვერდზე განთავსებული პოსტები არ არის განკუთვნილი მხოლოდ რომელიმე ქალაქის მაცხოვრებლებისთვის. **სააგენტო დამატებით განმარტავს, რომ მართალია კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოდ იქნა მიჩნეული მოვაჭრის ადგილზე ვაჭრობისას განხორციელებული კომერციული საქმიანობა, მაგრამ კომერციული საქმიანობის კანონისეული განმარტების მიხედვით (მოვაჭრის ნებისმიერი მოქმედება, უმოქმედობა, ქცევა, ახსნა-განმარტება, კომერციული კომუნიკაცია, მათ შორის, რეკლამა და მარკეტინგი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიყიდვასთან ან მიწოდებასთან ან საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ხელშეწყობასთან) კომერციული საქმიანობა წარმოადგენს ერთიან მოცემულობას. აღნიშნულში იგულისხმება ის, რომ მოვაჭრის მიერ, როგორც სარეწში, ისე დისტანციურად განხორციელებული ქმედებები ემსახურება ერთ მიზანს - საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ხელშეწყობას. ამდენად კანონდარღვევის მასშტაბის განსასაზღვად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება შეიძლება მიექცეს არა მხოლოდ მოვაჭრის სარეწში განხორციელებულ ქმედებას, არამედ მაგალითად მის მიერ კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად გამოყენებულ ვებგვერდსაც. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ მართალია უშუალო დარღვევა შეიძლება ხორციელდებოდეს**

[1] ბმული: https://www.facebook.com/share/187xLwxTeY/?mibextid=wwXIfr

[2] ევროკავშირის მართმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე C-585/08 და C-144/09

[3] იქვე.

სარეწში, მაგრამ მომხმარებლის სარეწში მისვლა შესაძლოა განაპირობოს მოვაჭრის Facebook პოსტმა ან სხვა დისტანციურად განხორციელებულმა ქმედებამ, რომელიც შეიძლება გასცდეს კონკრეტულ ქალაქს ან ქუჩას. აქვე საგულისხმოა, რომ მოვაჭრის ფილიალები გახსნილია საქართველოს დიდ ქალაქებში და მოიცავს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. დარღვევის მასშტაბის გასათვალისწინებლად მათ შორის მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული მოვაჭრის ცნობადობა. კერძოდ, მოვაჭრის Facebook გვერდს აქვს 405 (ოთხასხუთი) ათასი მოწონება და აღნიშნული გვერდის მიმდევარია (followers) 468 (ოთხასსამოცდარვა) ათასი Facebook ანგარიში. აღნიშნული კი, გულისხმობს იმას, რომ მოვაჭრე ერთი მხრივ ცნობილია საზოგადოებისთვის და მეორე მხრივ მის მიერ განხორციელებული ქმედება მოიცავს მთელ საქართველოს. მოვაჭრის კომერციული საქმიანობა მიემართება ყველა მომხმარებელს, საქართველოს მასშტაბით და პოტენციური მომხმარებლების აუდიტორია არ არის შეზღუდული გეოგრაფიული არეალით. ამრიგად, კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკის არარსებობა გავლენას ახდენს ყველა პოტენციურ მომხმარებელზე, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად, დარღვევა ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მასშტაბის შეფასებისას, სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება და დარღვევის **მასშტაბის კოეფიციენტი - L** შეფასდეს **% -ით.**

3.5. მოვაჭრის მიერ დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისას, დადგინდა, რომ მომხმარებლის დარღვეული უფლება კვლავ არ არის აღდგენილი. ამასთან, სააგენტოს მიერ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოვაჭრე, კომერციული საქმიანობისას, მომხმარებლებს არ აწვდის ინფორმაციას საქონლის წარმომავლობის შესახებ, რომელიც იდენტურია კომპანია Apple Inc.-ის საქონლის და მეორე მხრივ საგარანტიო ტალონის გრაფაში *„მოწყობილობა, ბრენდი, მოდელი“* უთითებს ლათინური ასოებით სიტყვას Apple. გადაწყვეტილებით წინამდებარე ქმედებები ორ დამოუკიდებელ დარღვევად დაკვალიფიცირდა, თუმცა საგარანტიო ფურცელში ჩაწერილ სიტყვასთან მიმართებით სააგენტომ დაადგინა, რომ აღნიშნული ქმედება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას იწვევს საქონლის იერსახესთან ერთობლივად (ერთი მხრივ საქონელი და მისი შეფუთვა იდენტურია კომპანია Apple Inc.-ის ნაწარმის, ხოლო

მეორე მხრივ საგარანტიო ტალონში ჩაწერილი ამგვარი აღნიშვნა დამატებით ცვლის მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევას). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლი ქმედების განზრახულობის 2 შემთხვევას გამოყოფს: I **როდესაც ქმედების ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი**; II **შეგნებულად უშვებდა მათ.** მოვაჭრის განზრახვის დადგენისას სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს მის ქმედებებზე. მოვაჭრე ყიდის კომპანია Apple Inc.-ის იდენტურ საქონელს, ამასთან, საგარანტიო ტალონში, საქონლის *„მოწყობილობა, ბრენდი, მოდელის“* ადგილას წერს Apple. სააგენტომ შეაფასა აღნიშნული ქმედებები, კერძოდ, ერთი მხრივ დაადგინა, რომ თავად საქონლის იერსახე და მისი შეფუთვა არის იმგვარი, რომ თუკი მომხმარებელს არ მიეწოდება ინფორმაცია მისი წარმომავლობის შესახებ, ის შევა შეცდომაში და მეორე მხრივ, საგარანტიო ფურცელში ასახული ჩანაწერი საქონლის იერსახესთან ერთად გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. ვინაიდან სააგენტოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ქმედებები დარღვევის დადასტურების ეტაპზე შეფასდა დამოუკიდებლად, ამ შემთხვევაშიც, სააგენტო დამოუკიდებლად იმსჯელებს ქმედების ხასიათთან მიმართებით. **საქონლის წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა:** მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს ტექნიკის აქსესუარების რეალიზაციით. ამდენად პრეზუმირებულად მიიჩნევა, რომ მან იცის, როგორ გამოიყურება სხვა მწარმოებლების საქონელი, უფრო კონკრეტულად კი, მოვაჭრემ იცის, როგორ გამოიყურება კომპანია Apple Inc.-ის მიერ წარმოებული საქონელი, რადგან, როგორც შეფუთვა, ისე თავად საქონლის დიზაინი სახასიათოა. გამომდინარე იქედან, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს ტექნიკის აქსესუარების რეალიზაციის გზით, პრეზუმირებულად მიიჩნევა, რომ მან იცის საშუალო მომხმარებლის აღქმა, მისი წარმოდგენები და დაშვებები. პრეზუმირებულია, რომ მოვაჭრემ იცის მოცემული საქონლის შეფუთვასა და იერსახეს რა გავლენა ექნება მომხმარებლის ეკონომიკური ქცევისა და გარიგების დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, მოვაჭრე აღნიშნული ქცევით სულ მცირე შეგნებულად უშვებს, რომ მომხმარებელი მოტყუვდეს და დადოს გარიგება, თუმცა მომხმარებელს ინფორმაცია პროაქტიურად მაინც არ მიეწოდება. რაც შეეხება მე-2 ქმედებას, სააგენტო ამ ნაწილშიც მიიჩნევს, რომ მოვაჭრის ქმედება არის განზრახი, უმთავრესად აღსანიშნავია, რომ საგარანტიო ფურცელში სიტყვა Apple კალმით არის ჩაწერილი, ამასთან იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქონელი, როგორც შეფუთვით ისე, მისი დიზაინით იდენტურია კომპანია Apple Inc.-ის ნაწარმის, ამ შემხთვევაშიც ცალსახაა, რომ მოვაჭრემ იცის, რომ აღნიშნული ქმედება გამოიწვევს მომხმარებლის ეკონომიკური ქცევის ცვლილებას და მის მოტყუებას და სულ მცირე უშვებს, რომ აღნიშნული ფაქტი მოხდება. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად

დგინდება, მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებები განზრახ იქნა ჩადენილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მოვაჭრეს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. შესაბამისად, ჯარიმის განმსაზღვრელი ფორმულის კრიტერიუმი, **დარღვევის ხასიათი - N** უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვის ის ოდენობით.

3.6. მოვაჭრის მიერ ჩადენილი დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად. განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე ახორციელებს კომერციულ საქმიანობას იმგვარად, რომ მომხმარებლის ნებაზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას და ცვლის მის ეკონომიკურ ქცევას. დამატებით, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ: დამდგარ ან მოსალოდნელი ზიანის სახეზე (ქონებრივი); მოვაჭრის მოქმედების მიზნობრიობაზე. **დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი სახე (ქონებრივი)** - უპირველესად აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის ქმედება წარმოადგენს შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობას, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით გამოხატულს. სააგენტოს მიერ მოვაჭრის ქმედებების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მოვაჭრის ქმედების შედეგად, მომხმარებელს უყალიბდება აღქმა, რომ ის ყიდულობს კომპანია Apple Inc.-ის ორიგინალ საქონელს, რეალურად კი, მას მიეწოდება ის საქონელი, რომლის წარმომავლობაც მომხმარებლისთვის ცნობილი არ არის. როდესაც მომხმარებელი არ შეიძენს იმ საქონელს, რომელიც მას სურდა, მას ადგება ზიანი. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეები იღებენ ორმხრივ სარგებელს, რაც გამყიდველის შემთხვევაში გამოვლინდება საქონლის ღირებულების მიღებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). ხოლო მომხმარებელი, გადახდილი ღირებულების საპირწონედ იღებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი და მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). იმ პირობებში, როდესაც ერთი საქონელი იდენტურია სხვა კომპანიის ნაწარმის, ხოლო მოვაჭრე წინასწარ არ შეატყობინებს მომხმარებელს, რომ საქონელი არ არის ამ კომპანიის ნაწარმი, მხარეებს შორის დადებული შეთანხმებით, კონკულდენტურად მიიჩნევა, რომ გარიგება სწორედ იმ საქონელზე იდება, რომლის შესყიდვის განზრახვა და ობიექტური მოლოდინიც ჰქონდა მომხმარებელს, მოცემულ შემთხვევაში კომპანია Apple Inc.-ის საქონლის. იმის

გათვალისწინებით, რომ მომხმარებელს არ მიეწოდა ის საქონელი, რომელზეც შეთანხმდნენ მხარეები, მას ადგება მატერიალური ზიანი. დამატებით საგულისხმოა ისიც, რომ მოვაჭრის მიერ რეალიზებული საქონელი არ არის კომპანია Apple Inc.-ის ნაწარმი, მომხმარებლისთვის უცნობია, რომელი კომპანიის ნაწარმს წარმოადგენს აღნიშნული საქონელი, შესაბამისად, მისი ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე კომპანია Apple Inc.-ის მიერ წარმოებული საქონლის ღირებულება, რადგან მომხმარებლისთვის უცნობია, მისი ხარისხი, ფუნქციური დანიშნულების შესრულების შესაძლებლობა და სხვა ელემენტები. ამდენად, მოვაჭრე არა მხოლოდ აწვდის მომხმარებელს სხვა საქონელს, არამედ მას მატერიალურ ზიანსაც აყენებს. ამდენად მომხმარებლები, რომლებმაც დადეს გარიგება მოვაჭრესთან (ან სამომავლოდ დადებენ) ადგებათ მატერიალური ზიანი, მაშინ, როდესაც შეიძენენ იმ საქონელს, რომელიც ვიზუალურად და შეფუთვით ჰგავს კომპანია Apple Inc.-ის საქონელს. **მოვაჭრის ქმედების მიზნობრიობა -** მოცემულ ეტაპზე შესაფასებელია, მოვაჭრის ქმედების მიზანი. სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებებით დგინდება, რომ მოვაჭრე ერთი მხრივ ყიდის კომპანია Apple Inc.-ის იდენტურ ნაწარმს და მომხმარებელს ინფორმაციას არ აწვდის საქონლის წარმომავლობის შესახებ და მეორე მხრივ ახორციელებს მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობას, რაც აგრეთვე უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებლის ნებაზე. ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, მოვაჭრის ქმედების ერთდაერთი მიზანი არის მოგების მიღება, იმგვარი კომერციული საქმიანობის გამოყენებით, რომელიც კანონით აკრძალულია და იწვევს მომხმარებლის მოტყუებას. ერთი მხრივ მოვაჭრეს არ მიუთითებია, რაიმე ობიექტური გარემოების არსებობაზე, რომელიც ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგო იქნებოდა, ხოლო მეორე მხრივ საპირწონეს არც ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს. დამატებით საგულისხმოა ისიც, რომ მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვევის **სიმძიმის კოეფიციენტი - M**, უნდა შეფასდეს **%-ით.**

3.7. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** დადგენისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). აღნიშნული კრიტერიუმის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია უშუალოდ მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების დრო, რომელიც სააგენტომ დარღვევის ხანგრძლივობის ათვლის წერტილად მიიჩნია. სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდებოდა სულ მცირე მომხმარებლების მიერ მოვაჭრესთან ხელშეკრულების დადების მომენტიდან - 2024 წლის 28 დეკემბრიდან. მოვაჭრის მიერ საქმის შესწავლის არცერთ ეტაპზე, ამასთან

დარღვევის დადასტურების შემდეგაც არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია, კანონმდებლობით აკრძალული კომერციული საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვევის **ხანგრძლივობის კრიტერიუმი** - **T** უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვის -ით.

3.8. მოვაჭრის მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების** შეფასებისას, ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მრავალჯერადობა. უპირველსად აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის მხრიდან მომხმარებლის უფლება არ აღდგენილა. მოვაჭრეს არ წარმოუდგენია ინფორმაცია იმის შესახებ, სააგენტოს გადაწყვეტილების შემდგომ აწვდის თუ არა ინფორმაციას მომხმარებლებს საქონლის წარმომავლობის შესახებ და კვლავ იმავე პრაქტიკით იყენებს თუ არა საქონლის საგარანტიო დოკუმენტს. ის არ ცდილობს თავიდან აიცილოს ის მავნე შედეგი, რაც კომპანია Apple Inc.-ის იდენტური საქონლის რეალიზებას ახლავს თან, არ ცდილობს მომხმარებლებს თავიდან აუცილოს ზარალი. საგულისხმოა, რომ მოვაჭრემ არც უფლება აღადგინა. სააგენტოს გადაწყვეტილების შემდგომ მოვაჭრე ინფორმირებულია იმ მავნე შედეგების შესახებ, რასაც იწვევს მისი კომერციული საქმიანობა. მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს მათ შორის Facebook გვერდის მეშვეობითაც, მას შეეძლო განეთავსებინა ინფორმაცია აღნიშნულ გვერდზე, რომლითაც მომხმარებლები ინფორმირებულები იქნებოდნენ, რომ მოვაჭრე არ ყიდის კომპანია Apple Inc.-ის ნაწარმს, თუმცა სააგენტოს მიერ აღნიშნული გვერდის გადამოწმების შედეგად დადგიდნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გავრცელებული არ არის.[4] შესაბამისად, მოვაჭრის ფინანსური მდგომარეობისა და დარღვევის ფაქტის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, **კოეფიციენტი A** უნდა შეფასდეს ის შესაბამისად.

3.9. აღსანიშნავია, რომ წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს **შეადგენს ლარს.** ამასთან, კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, ხელმძღვანელობს რა სააგენტო

[4] ბმული: https://www.facebook.com/technolab.market (2025 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით)

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესით დადგენილი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის ფორმულით **B = N + T + L + M ± A**, სააგენტოს მიერ მოვაჭრისათვის დაკისრებული ჯარიმა განისაზღვრა **%**-ის ოდენობით. **N(%) + T(%) + L(%) + M(%) + A(%)=B(%)**

3.10. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს და ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ლარის არის 30 774 ლარი და 58 თეთრი, შესაბამისად, **შპს „აიფონ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ: 412726055)** სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს 30 774 ლარი და 58 თეთრის ოდენობით.

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს **შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055)** მიერ „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის **2025 წლის 4 აპრილის N 04/316** ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მოხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის **2025 წლის 18 ივნისის N 04/643** ბრძანების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

2. შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055) დაეკისროს ჯარიმა 30 774 ლარი და 58 თეთრის ოდენობით.
3. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება **შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055)** არ ათავისუფლებს „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის **2025 წლის 4 აპრილის N 04/316** ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მოხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის **2025 წლის 18 ივნისის N 04/643** ბრძანების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება გაეგზავნოს შპს „აიფონ ჯორჯიას“ (ს/ნ: 412726055)
7. ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
9. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე